საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/42

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2020 წ.

,,ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N108 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 და 62-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების და ამ ბრძანებაში მინისტრის 2019 წლის 7 ნოემბრის N218/ნ ბრძანების საფუძველზე ბსუ-ს წესდების 62-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N108 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, წესის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ემერიტუსის წოდება პირს შეიძლება მიენიჭოს შემდეგი ვადების დაცვით:

ა) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით;

გ) შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მე-3 სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე უვადოდ არჩეული პროფესორის მიერ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით;“;

ბ) მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ბსუ-ს ემერიტუსის მიერ ბსუ-ში ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის დაწყება (გარდა საათობრივად ანაზღაურებადი პედაგოგიური საქმიანობისა ან/და უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული ეროვნული ან/და საერთაშორისო საგრანტო ან/და საუნივერსიტეტო მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ან/და ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოს შესრულებისა, ამ ერთეულის ან ბსუ-ს საკონკურსო თანამდებობის დაკავების გარეშე);";

გ) მე-9 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,დ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ბსუ-ს ემერიტუსის გარდაცვალების შემთხვევაში (სამსახურებრივი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომლის ინიციატივითაც პირს მიენიჭა ბსუ-ს ემერიტუსის წოდება. შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს რექტორს წარუდგენს ასევე ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, მათ შორის ამ ემერიტუსთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების/ურთიერთობის ბსუ-ს მიერ ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე (ასეთის შრომითი ურთიერთობის/ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში)).''

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**